ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724080001
თარიღი:20/03/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის ოქმი N-05

დ. ლენტეხი. 14 / მარტი /2024წ

მიმდინარე წლის 14 მარტს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომა გაუსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი.

1. **მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე წვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები თემებში, ა(ა)ი.პირების ხელმძღვანელები და საზოგადოების წარმომადგენლები.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ანა მუკბანიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2024 წლის სამოქმედო გეგმა-პროგრამების დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ - რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი შეზღუდულია, მაგრამ ხმათა უმრავლესობით დავუშვათ გამოხაკლისი და დღის წესრიგში ჩავამატოთ საკითხი ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიმდინარე წლის 7 თებერვლის N- 52400003154 წერილით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა შენიშვნები, შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და წარმოდგენილია ბიუჯეტი გასწორებული სახით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2024წლის სამოქმედო გეგმა-პროგრამების დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

2. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N- 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

1.მოისმინეს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის სოზარ ბენდელიანმა წარმოადგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პირების 2024 წლის წლის გეგმა-პროგრამების პროექტები:

1. ა(ა)ი.პირი საზოგადოებრივი ჯანდაცვა - სუბსიდია 179000ლარი, ხელფასის ფონდი 137 940ლარი; კომპიუტერული ტექნიკა 8000 ლარი, დენი 1000, ტრანსპორტის შეძენა-შენახვა 29560ლარი, საკანცელარიო 1000, დაცვის საშუალებები 1500 ლარი, მივლინება 600ლარი.

2. ა(ა)ი.პირი ტურიზმის განვითარების ცენტრი ,,ლაილა“ - სუბსიდია 149000ლარი, სახელფასო ფონდი 134010ლარი, ოფისის ხარჯი 5990 ლარი და განვითარების ხარჯი 9000ლარი;

3.ა(ა)ი.პირი გარემოს დაცის და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი. სუბსიდია 146000 ლარი, სახელფასო ფონდი 133820 ლარი, საოფისე ხარჯი 3180 ლარი, განვითარების ხარჯი 9000 ლარი;

4. ა(ა)ი.პირი კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება - სუბსიდია 545000 ლარი, სახელფასო ფონდი 524 388 ლარი, ღონისძიებები 5000ლარი. კომუნალური ხარჯი 12612ლარი, საოფისე ხარჯი 3000ლარი;

5. ა(ა)ი.პირი საბიბლიოთეკო გაერთიანება- სუბსიდია 166000ლარი, მათ შორის: ხელფასები 161 160 ლარი, ხარჯები - 4 820 ლარი;

6. ა(ა)ი.პირი ,, ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი“- სუბსიდია 290000 ლარი, მათ შორის სახელფასო ფონდი 288920 ლარი, საოფისე ხარჯი 80 ლარი, განვითარების ხარჯი 1000ლარი;

7. ა(ა)ი.პირი კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა “- სუბსიდია 380000 ლარი, მათ შორის სახელფასო ფონდი -(შტატი)199 680() ლარი,(შტატგარეშე) ხელფასის ფონდი 98080ლარი, საწვავი 25000 ლარი, შეშის ხარჯი 1200 ლარი, ინტერნეტის ხარჯი 600 ლარი სხვა ხარჯი 40000ლარი;

8. ა(ა)ი.პირი ,, ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი “- ბიუჯეტი 224200 ლარი: მათ შორის სუბსიდია 218200 ლარი; საკუთარი სახსრები 6000ლარი, სახელფასო ფონდი 187320 ლარი, ტრანსფორმატორის ხარჯი 34000ლარი, სხვა ხარჯი 2880 ლარი;

9. ა(ა) ი.პირი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“- სუბსიდია 1080000 ლარი, მათ შორის ხელფასის ფონდი 833540ლარი, კომუნალური ხარჯი 20370ლარი, ოფისის ხარჯი 5500ლარი, კვების ხარჯი 118654 ლარი.

10. ა(ა)ი.პირი ,, ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრი“- სუბსიდია 110 000ლარი; მათ შორის - სახელფასო ფონდი 108 780 ლარი, სხვა ხარჯი 1220 ლარი;

11. ა(ა)ი.პირი ,, ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ - სუბსიდია - 97400ლარი;

გეგმა -პროგრამებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა: აღნიშნა, რომ გეგმა- პროგრამების განხილვის პროცესი გრძელდება უკვე სამითვეა, მიეცათ შენიშვნები აიპის ხელმძღვანელებს. შენიშვნები გათვალისწინებულია და წარმოდგენილია გასწორებული სახით.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ბენდელიანმა - სხვა აიპიებთან შედარებით უფრო მეტი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებს . მეტი ყურადღება გამოვიჩიხოთ და ვიზრუნოთ მათი ხელფასების მომატებაზე

პასუხად მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ორი წლის წინ რაც ჰქონდათ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებს ანაზღაურება, იმის მიხედვით გაეზარდათ ხელფასები 150%-ით. მომავალში როცა გამოჩნდება ფინანსური რესურსი აუცილებლად გავითვალისწინებთ ამ საკითხს.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი დააააფიქსირა გიორგი გაზდელიანმა - ბოლო წლებში მთავრობის მხარდაჭერით ბაგა-ბაღების თანამშრომლების ხელფასები კარგად გაიზარდა. ნამდვილად ვერ დავარქმევთ ამ პროცესს უურადღებობას.

შენიშვნები დაფიქსირდა ნინო ბენდელიანის და ნინო ონიანის მიერ კომუნალური მომსახურეობისა და კეთილმოწყობის აიპის მიმართ, რომ გოგებაშვილის და ხერგიანის ქუჩები არის მიუხედავი და უცილებელია დამლაგებლის გამოცვლა. ანალოგიური პრობლემაა გაღმა ლექსურაში მჟავე წყლის მიმდებარე ტერიტორია.

პასუხად მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნება ეს შენიშვნები გათვალისწინებული.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - რა თქმა აღნიშნული გეგმა -პროგრამები შეიძლება არ იყოს იდეალური, მაგრამ ვითვალისწინებთ ჩვენი რაიონის სპეციფიკას და ხელს ვუწყობთ მოსახლეობას, რომ იყოს დასაქმებული და შესაბამისად დასაქმებულებმა და აიპიების ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად უნდა იმუშაოს აიპიების განვითარებისთვის.

> **სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი გეგმა-პროგრამების პროექტები დააყენა ღია კენჭისყრაზე.**
>
> **ღია კენჭისყრის შედეგით - მომხრე -14**
>
> **თავი შეიკავა -1**
>
> **გადაწყვიტეს: დამტკიდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი. პირების 2024 წლის სამოქმედო გეგმა-პროგრამები .**

2.მოისმინეს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა დადეგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N- 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდინარე წლის 7 თებერვლის N- 52400003154 წერილით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა შენიშვნები, შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და წარმოდგენილია ბიუჯეტი გასწორებული სახით. კერძოდ:

2024 წლის ბიუჯეტი და ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი უნდა მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში, ვინაიდან სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი. შესაბამისად პროგრამების განხორციელების წესი , მათ შორის , სოციალური დახმარების სახე და ოდენობა, ბენეფიციართა წრე და დახმარების მირების პირობა, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ბიუჯეტის ანალოგიურ პროგრამას და არ უნდა სცდებოდეს მას. აღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებულია და წარმოდგენილია დადგენილება გასწორებულად.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ " ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 იანვრის N-29 დადგენილებაში.

საკრებულოს სხდომა დამთავრდა 14 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი	გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე	